

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახალხო ორგანიზაციისა და პროფკავშირის სახალხო კომიტეტის და სსრ კავშირის სახალხო კონფედერაციის მდივნის კათედრა

15 ნოემბერი, სამშაბათი, 1988 წ. № 218 (9885) © ზასნი 3 კაპა.

გამოცემის 1934 წლის 13 პირველიდან

სახალხო ხალხი მოსოქობიანი

ენებისმიერი ასპარეზობა, რომელშიც რესპუბლიკის სპორტული პოტენციალი უნდა წარმოჩნდეს, ხანგრძლივ და, რაც მთავარია, მიზანმიმართულ მზადებას მოითხოვს. დამთავრდება თუ არა ესა თუ ის საკავშირო კომპლექსური ღონისძიება, მაშინვე ვიწყებთ ზრუნვას მომავალი ასპარეზობისათვის ნაკრების გუნდების ახალი ძალებით გასაძლიერებლად. ყველაფერი კეთდება, რომ სპორტის ყველა სახეობაში მოდიოდეს საიმედო შედეგება. ეს კი მოითხოვს მწვეობრი სისტემის შექმნას ასაკობრივი თანმიმდევრობით. მიზანი გარკვეულია — სპორტული სკოლების მოსწავლეობა საკავშირო თამაშების მონაწილე უნდა იასპარეზოს ჭაბუკთა თამაშებში, შემდეგ — ახალგაზრდულ თამაშებში, შემდეგ — სსრ კავშირის ხალხთა სპორტკლასში, ბოლოს კი უნდა გამოვიდეს ოლიმპიურ სარბიელზე. აი, რატომ არის საჭირო ასაკობრივი თანმიმდევრობის უზრუნველყოფა. დიდ სპორტულ შედეგებს ვერ მივაღწევთ, თუ ეს მოთხოვნა მკაცრად არ დავიცავით. თუნდაც ერთი სპორტულის გამორკვევა არითმიას იწვევს მზადების მთელ სისტემაში.

დამთავრდა ოლიმპიური თამაშები და იმ დღიდან დაიწყო მზადება მომავალი ასპარეზობისათვის. ჩვენი რესპუბლიკის იმ სპორტსმენებთან ერთად, რომლებმაც უკვე იასპარეზეს სეულში და ახლა ისევ შეუდგენენ გულმოდგინე მზადებას ბარსელონის თამაშებისთვის, ასევე მონაწილენ ეშუადებიან უმცროსი თაობის წარმომადგენლები. ვასადა ჩატარდება საკავშირო ახალგაზრდული თამაშები. ეს იქნება ძალიან სერიოზული გამოცდა ყველასთვის — როგორც სპორტსმენებისთვის და მათი მწვრთნელებისთვის, ისე სპორტის მუშაკებისთვის. ამ დღეებში რესპუბლიკის სპორტსახკომმა შემოუშვა სავანებო გრაფიკი, რომლის მიხედვითაც უშუალოდ სპორტსახკომის ხელმძღვანელები ატარებენ თათბირებს მწვრთნელებთან და ცალკეული სახეობების სპეციალისტებთან. თათბირზე უნდა გამოიკეთოს რეალური სურათი. მან უნდა გვიჩვენოს, რა შესაძლებლობები გაგვაჩნია, ვისთან გვაქვს საქმე და რით შეიძლება გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა. პირველივე სხდომაზე გვიჩვენა, რომ მოთხოვნები უმცირესია, არავითარი ზოგადი ფრაზები, ლაპარაკი უნდა იყოს მხოლოდ კონკრეტულ საკითხებზე, კონკრეტულ პირობებებზე, კონკრეტულ გზებზე. განიხილავდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა და ბადმინტონისტთა ნაკრები გუნდების უახლესი (ახალგაზრდული თამაშები) და შორეული (ბარსელონის ოლიმპიადის) შეჯიბრებებისთვის სპორტსმენების მზადების საკითხს. თათბირი გადაიდო, რადგან სპეციალისტებს მოთხოვნების შესაბამისი სრული ინფორმაცია არ გააჩნდათ. ასეთია პოზიცია. სხვაგვარად არც შეიძლება. არ არის დასაშალო, ჭრი კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს გამოსასწორებელი, მხოლოდ მოახლოებული შეჯიბრების დროს ირკვევდა ხოლმე, რომ თურმე ამ კონკრეტული ასპარეზობისათვის შესაფერისი ასაკის სპორტსმენები არა გვაქვს. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს.

რესპუბლიკა ჩვენი სპორტსმენებისგან ახალ წარმატებებს მოელის, მომავალ გამარჯვებებს კი დღეს ეყრება საფუძველი.

ვაჟა ჯავახიშვილი საკავშირო პირველობა © I ლიბა

5 ქულა სამ შეხვედრაში

I ლიბის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის უკანასკნელი ტურის პირველ მატჩში მასპინძელია — თბილისის ასკ-მ, როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვის „შიაიკო-ან“ შეხვედრაში ფრედ — 6:6 ითამაშეს.

ამ გუნდების შეხვედრაში თანაბარი ბრძოლა იყო მხოლოდ პირველ პერიოდში, რომელიც 1:1 დამთავრდა. ამის მერე სტუმრებმა თამაში, როგორც იტყვიან, საათივით ააწყეს და მომდევნო ორი პერიოდი მოიგეს (3:1, 2:1). მესამე პერიოდში, საერთო ჯამში, სტუმრები ერთხანს ოთხი ბურთითაც კი და-



სახალხო განათლების მუშაკთა კონფერენცია

14 ნოემბერი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა და რბაზში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო განათლების მუშაკთა კონფერენცია.

მოსწენება: „XIX საკავშირო პართიული კონფერენციისა და სსრ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის სახალხო განათლების ამოცანების შესახებ“ გააკეთა საქართველოს სახალხო განათლების მინისტრმა გ. ნ. ენუქიძემ.

მოსწენების გამო გაიმართა კამათი. კონფერენციაზე გამწვიდა სსრ კავშირის სახალხო განათლე-

ბის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრი ვ. დ. შაღაროვი.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია. პირველი სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობის დელეგატი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ნ. ა. დოღვაძე, თ. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ვ. მ. სირაძე, უჩიტელსკაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე ი. ნ. ხანასაივა.

(საქინფორმ).

გვერდისა და ბიკოსა და

ნაწი. საფრანგეთის ამ ქალაქში დაიწყო ჩოგბურთული ტურნირი. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. საბჭოთა სპორტსმენებს კი რეალური ბრძოლა უწევდათ. წინადადება უნდა დაეფარებინათ იგი ანგარიშით 2:1.

მოსკოველი ნატალია ბიკოვა შეხვდა კლერ ეულს. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა — 7:6, 6:2.

თბილისელ ლეილა მესხის მეოქმე იყო ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი სარა გომერი. გაიმარჯვა ინგლისელმა — 6:0, 0:6, 7:5.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა ორთაბრძოლას. ბიკოვა და მესხმა აჯობეს გომერს და ჯული სალომს ანგარიშით 7:5, 7:5 და საბოლოო ჯამში გუნდურ წარმატებას მიაღწიეს.

პირველი ქულა

გამარჯვებით დაიწყეს გამოსვლა საკავშირო ოლიმპიადის საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა. ქალთა გუნდმა ნორვეგიელებს სძლია — 2,5:0,5, ვაეებმა კი სირიელებს აჯობეს — 3,5:0,5. ჩვენი ქალბიდან წარმატებას მიაღწიეს ელენა ახმილოვსკაია და მარტალიტინსკაია, ირინა ლევიტინა კი ქულა გაიყო მეტოქესთან. პირველ ტურში მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩინბურდანიძემ დასვენება არჩია. ამ დღეს არც საბჭოთა ვაჟთა გუნდში თამაშობდნენ ლიდერები გარი კასპაროვი და ანატოლი კარპოვი. ნაკრებს თითო ქულა შესძინეს არტურ იუსუპოვმა, ალექსანდრე ბელაისკიმ და ვასილი ივანჩუკმა. იან ელვესტი ყაიბს დასჯერდა.

ვაჟთა ტურნირში საბჭოთა გუნდის მთავარმა კონკურენტებმა, ინგლისისა და ამერიკის შერთხული შტატების მოჭადრაკეებმა „მშრალი“ ანგარიშით — 4:0 დაამარცხეს შესაბამისად ფარის კუნძულებისა და ეგვიპტის წარმომადგენლები. ასეთივე ანგარიშით ისლანდიელებმა აჯობეს პუერტორიკელებს, კუბელებმა — ლიბანელებს, შედეგბმა — იამაიკელებს, ბულგარელებმა — ბოლივიელებს, დასავლეთ გერმანიის მოჭადრაკეებმა სძლიეს კატარის გუნდს. იუგოსლავიის ნაკრებმა მოუგო კოსტარაელებს — 3,5:0,5.

ქალთა ტურნირში იუგოსლავიელებმა მოუგეს ბერძნებს 2,5:0,5, დასავლეთგერმანელებმა — იტალიელებს — 2,5:0,5. უნგრეთის ნაკრებმა კი, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობს სამი და პოლოვარი, პირველიდან დაამარცხა ავსტრალიის გუნდი — 3:0.

სულ შეჯიბრებაში 54 ქალთა და 98 ვაჟთა გუნდი მონაწილეობს.



პირველი პილობა, ჩვენი ერთგული საუნჯე!

სპორტის ამ უღალა მანისი და უძველესი სპორტის სახეობის მოვლა-კატრონობა, მისი შემდგომი განვითარება ახალგაზრდობის უპირველესი საზრუნავია. 19 ნოემბრიდან დაიწყება რესპუბლიკის სკოლებისა და ქალაქების უბნების ჩემპიონატი ქართულ ტილოდაში საქართველოს კომპავშირის ცენტრალური კომიტეტის პრისზე.

სრული საშვაბათს... რამ გაბუსარატი, რამ დაბუსვიტატი გული

8-14 ნოემბერი

მკითხველები გვწერენ კვლავ განვახლოთ ეს რუბრიკა. მართო გასული კვირის ფოსტაც საქმარისია, რომ დავრწმუნდით, თუ როგორ განიცდიან გულშემდატივრები ქართველი სპორტის ყოველ წარმატებას თუ წარუმატებლობას. ბოლო ხანებში ყველა განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენი საფენბურთო გუნდების გადაწყვეტ მატჩებს.

ცხადია, გულშემდატივრებმა შევებით ამოსუნთქეს, როცა „დინამოში“ უმაღლესი ლიგის დატოვების საფრთხეს თავი დააღწია, მაგრამ მკითხველები არც შეშფოთებას მაღავენ იმის გამო, რომ საქმე აქამდე მოვიდა. „1988 წლიდან დაწყებული კრიზისი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამთავრდეს?“

ავითხულობთ წერილებში. „გური-ან“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნების მოლოდინში რაღა თქმა უნდა, მთელი საქართველო იყო. სარედაქციო ფოსტაში სულ სხვადასხვა განწყობის წერილები გვგვდება. მთავარი კი ისაა, რომ გულშემდატივარი კმყოფილია ლანჩხუთელთა თამაშით და მისგან მომავალში კვლავ მოელის დიდ სიხარულს.

წილს ასევე მთელი გულმსყური

მიხეობილი იყო ქუთაისის ტორპედოსკენ, გუნდმა დაიბრუნა ადგილი I ლიგაში. ქომაგებს მოჩინათ, რომ „ტორპედოს“ შესწევს უნარი კვლავ აღადგინოს ძველი სახელი.

გასული კვირის სპორტული მოვლენებიდან ჩვენმა მკითხველებმა განსაკუთრებული სიხარულით აღიქვეს ქეთინო კახიანის წარმატება, რომელმაც მოჭადრაკე ქალთა შორის პაექრობაში მსოფლიოს პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზური მოიპოვა. საბჭოთა ქალთა საკავშირო ნაკრებს კვლავ სათავეში უდგას აშქამად უკვე მსოფლიო ხუთგუნის ჩემპიონი მაია ჩინბურდანიძე — ამ ცნობამაც გაახარა ჩვენი სპორტის გულშემდატივრები.

თუმცა, წარმატების იმედი არ ჰქონდათ, „ლელის“ მკითხველებს გული დაწყვიტა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა მარცხმა „კორაჩის თასზე“ პარიის „ოლიმპიკოსთან“. ამ მატჩმა იმედი ჩაუსახა გულშემდატივრებს, რომ ისინი შეძლებენ ქვეყნის ჩემპიონატის მომავალ მატჩებში აჩვენონ მაღალი კლასი.

გასული კვირის სპორტულ მოვლენებს გამოეხმაურნენ: ვალერიან არსენიანი, ვაჟა კოლასონია, გლადიმერ ბლუაშვილი, რაულ წერეთელი, ქუთაისი ვარლესანიძე, ჯუნა იმანიძე (ყველა — თბილისი), მანანა ბეგაშვილი (მოსკოვი), როსტომ არჩვაძე (ქიათურა), მიხეილ დარჩანი (ზობი), ვახტანგ კიკნაძე (ორჯონიკიძე), ბორის ვერულიშვილი (ბათუმი), გიგა კენჭაძე (გარდაბანი).

სევენიკი - ქიოსკალი

ლეონბარდი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივმა „ელექტროსილამ“ დაამარცხა ჩვენი ქვეყნის სამგზის ჩემპიონი ნოვოსიბირსკის „დინამო“ — 92:85. ეს დინამოელთა მეშვიდე მარცხია მიმდინარე ჩემპიონატში.

პარიზი. დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში. შეჯიბრება წყვილთა სრიალში ლენინგრადელებმა ელენა ბეჩემ და ლენის პეტროვა მოიგეს.

კალათბურთი, სსრ კავშირის პირველობა. ქალბი. I ლიგა. თბილისი. ხნი — „სტალი“ დეპროვტე ტროვსკი — 78:78; მეორე შეხვედრა — 88:81.

სეულის ოლიმპიადის პრიზიორები

პირთი იღეთის ფასი

ღარი ხანძარში სეულის ოლიმპიურ სარბიელზე ექვსი შეხვედრა ჩატარდა, სამი მოიგო წინდა, ორი — ქულებით და ერთ, ყველაზე მთავარ შეხვედრაში ქულებით დამარცხდა. უფრო სწორად ფინალური ბრძოლაში ბოლო წუთზე მეტოქეს ერთადერთი ქულა დაუთმო და ამ ქულამ გადაწყვიტა ოქროს მედლის ხედი.

მეტი საზუსტისთვის გაიხსენოთ საბელოვის მიერ ჩატარებული შეხვედრები. პირველი წრე ფრედ ხოლოვი (დასავლეთი სამია) — გამარჯვება 2 წუთსა და 42 წამში; მეორე წრე. მიური ნეზინი (თურქეთი) — გამარჯვება 2 წუთსა და 45 წამში; მესამე წრე. ბოლდ ვახლანტუხაძე (საბურთალოს რაიონი) — გამარჯვება 1 წუთსა და 50 წამში; მეხუთე წრე. ლერი ხანძარაძე (თავისუფალი იყო. შეიქცხე წრე. ჯეი ნოიბერტი (გერმ.) — გამარჯვება 2 წუთსა და 45 წამში; მეექვსე წრე. ვახილე პუშკაშვი (რუმინეთი) — დამარცხება ქულებით; მეშვიდე წრე. ვახილე პუშკაშვი (რუმინეთი) — დამარცხება ქულებით.

სეულშია დაბრუნების შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ლადო მებტივიშვილს, რომელმაც ბევრი საინტერესო დეტალი გაიხსენა.



«თუ არ ვცდებით, ლერი ჩვენს გუნდში გამარჯვების ერთ-ერთ ყველაზე ნაღდ კანდიდატად ითვლებოდა?»

— დიას, არ ცდებით. ლერისაგან, ისევე როგორც ბლოგლავისაგან, ფაბაგვისა და ხადარცყვისაგან ყველაზე მხოლოდ ოქროს მედლის მოპოვებას ელოდა. ეს ოთხი ოქროს მედალი ნაკრების ხელმძღვანელობას მტკიცედ ჰქონდა დაგეგმილი.

«ამ ხანში დავით გობეჯიშვილი, ჩანს, არ უფროსა?»

— დავითის საქმე ცოტა სხვაგვარად იყო. მისი მთავარი კონკურენტის ვინაობა ჩვენთვის ღიად იხნით ადრე იყო ცნობილი. ამერიკელი ბრიუს ბაუმარტნერისა და დავითის შანსები დაახლოებით თანაბრად ფასდებოდა და ამიტომაც მისი გვარი ოქროს მედლის საგარეო კანდიდატა შორის არ იყო დასახელებული. მაგრამ გამარჯვებას გობეჯიშვილისაგანაც ელოდნენ, ჩვენ, ქართველი სპეციალისტები კი მტკიცედ ვიყავით ამაში დარწმუნებული.

«თუ ჰყავდა ლერის სხვა რომელიმე კონკურენტი ნაკრებში?»

— ადრე იყო ლაპარაკი კრასნოიარსკელ ახმედ აბაგოვზე, მაგრამ საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ხაბელოვმა იგი ჩამოიცილა და მერე არავის ვგარის ვგარის ვახსენებია. სხვათა შორის, უცხოელი სპეციალისტებიც გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ლერის ასახელებდნენ და ბევრი მათგანი შეჯიბრების შედეგით გულახდილად იყო გაკვირებული. რუმინეთის გუნდის მწვრთნელმა, მავალითად, დაუფარაველ აღნიშნა, რომ პუშკაშვი ამჯერად ბედამ გაუღიამა, ამერიკელი სპეციალისტები კი ლერის დამარცხებას ფინალში ბრმა შემთხვევას მიასწრდნენ. მაგრამ ასე იყო თუ ისე, პუშკაშვიმ ოქროს მედალი მოიგო და ჩვენ ნუგეშად მხოლოდ ვერცხლის ჯილდო დაგვიტოვა.

«ფინალურ ბრძოლაში კიდევ დაუბრუნდებოდა, ახლა კი ორიოდე ხეტყვა იმაზე, თუ რა მიგანიათ ამ შედეგებითი წარუმატებლობის მიზეზად?»

— ლერი სეულში შეჯიბრების წინა დღეს ენახე. აწონვის წინ მოქიდავებში ჩვეულებრივად ვარჯიშობენ, ამუშავებენ ილეებებს, სუნთქვის მდგომარეობას ამოწმებენ, ფიზიკურ დატვირთვას იღებენ. ეს ბოლო ვარჯიში მისთვის სიფათიანი გამოდგა — ტრავმა მიიღო. ტრავმა სერიოზული გამოდგა და საჭირო გახდა ექიმთა კონსილიუმის მოწვევა. კონსილიუმის დასკვნა ერთსულოვანი იყო: ტკივილის გამაყუჩებელი ნემსების გაკეთება. მაგრამ ეს გარკვეულ რისკთანაც ვახლათ დაკავშირებული, კონსილიუმს სალონიკო კონტროლის კომისია მთელი დატვირთვით მუშაობდა და ყოველ წუთს შეეძლო გამოდგება. მიდი და უმტკიცე მეორე რისთვის იყო გაკეთებული ნემსები.

«ნუთუ არ იყო რაიმე გამოხავალი?»


«ნოიბერტი ლერის დამარცხებლად დაამარცხა.»

— დიას, რვა ქულა აართვა და მხოლოდ ერთი დაუთმო. მესამე წრეში პუშკაშვიმაც ძნელი, მაგრამ საბატიო გამარჯვება მოიპოვა — დაამარცხა ამერიკელი უილიამ შერი, საბრინო ადგილის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი. ასე რომ, ახლა ოქროს მედლის ხედი ბოლო, ფინალურ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტათ: პირველი ჯგუფის დავითი — ლერი ხანძარაძე მეორე ჯგუფში გამარჯვებულ რუმინელს ვახილე პუშკაშვის ხედიდებოდა.

«ადრე ხომ უყენებდით იმისი ერთმანეთს შეხვედრებს?»

— პუშკაშვი 36 წლისაა. სეულის თამაშების მისთვის შესაბამისი ოლიმპიადის ხანაა და გახლდათ. ლერი და პუშკაშვი ამ საბედისწერო ბრძოლაში ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდნენ. ჩვენმა მოქიდავებმა ოთხჯერ დიდი უპირატესობა დაამარცხა მეტოქე. ეს კი არა, სეულის ოლიმპიადამდე ორი თვით ადრე პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე რუმინელს ხანა ტყველათვილიძემ აჯობა. მაგრამ, არ დავიმალოთ და, სეულის სტარტებისთვის პუშკაშვი საგანგებოდ მომზადებულია.

«ახე იყო თუ ისე, პირველი შეხვედრაში ლერის პრობლემები, თუ არ ვცდებით, არ ჰქონია.»



— პირველი ოთხი წრე მართლაც მშვიდად გაიარა. პრობლემები არ ჰქონია, მაგრამ ტკივილი, ცხადა, აწუნებდა.

«როგორი მანქანები ჰქონდა ამ დროისთვის პუშკაშვი?»

— რუმინელი მეორე ჯგუფში იბრძოდა. პირველი ოთხი შეხვედრა მანაც მოიგო, მაგრამ ერთი უფერულად, დიდი შთაბეჭდილება არ დაუტოვა. წმინდად დაამარცხა მხოლოდ კენიელი მისი ბრძოლები. სამი დანარჩენი ბრძოლა — დასაკლუთგერმანელ ვილფრიდ კოლინგთან, ბულგარულ გეორგი კარაღუჩევთან და უნგრულ იმტივან რობოტკასთან ქულებით მოიგო.

«რა მოხდა მერე?»

— მეხუთე წრეში ლერი თავისუფალი იყო. ამ დანქანებში დემოკრატიული გერმანიის საკმაოდ ძლიერ მოქიდავესთან უფრო ნოიბერტთან შეხვედრის წინ მართლაც მიწვეულა და პუშკაშვიმ, მაგრამ მეექვსე წრეში ლერი ახალი ტრავმა მიიღო. ნოიბერტი იგი ე. წ. «ჯვარზე» ატრიალდა, როცა ფეხის წინ დარჩა და მეტოქემ სწორედ ამ ფეხში ჩააგდო ხელი. ტრავმას ახალი ტრავმა დაემატა.

«ნუთუ არ იყო შესაძლებელი ყველაფერი აგვეხსნა სალონიკო კომისიისთვის და ოფიციალურად მათგან მივედრა ჩვენს?»

— ნოიბერტთან ბრძოლის წინ ჩვენმა მწვრთნელმა მიმართეს ამ კომისიას და გამაყუჩებელი წამლის მიღების ნებართვა ითხოვა, მაგრამ დღის იმდენად მცირე იყო, რომ ლერი ნემსის გაკეთებაზე საერთოდ უარი თქვა.

«როგორ წარმოშობა ბრძოლა?»

— პირველ სამ წუთში ლერის უპირატესობა უღდა იყო. პუშკაშვიმ ორი გავრთილება მიიღო (ლერი — ერთი). პირველი გავრთილების შემდეგ ჩოქბენში რომ ჩაყენეს, ლერიმ კარგად აუღო ხელი და ქულების აღებაც შეძლო, მაგრამ ბოლო მომენტში რუმინელმა თავის დაცვა მოახერხა. სხვა დროს, სხვა ბრძოლებში ხანძარაძე ასეთ ხელსაყრელ მომენტს უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა.

«მერე თუ გააქტიურდა მეტოქე?»

— შეხვედრის დამთავრებამდე 29 წამით ადრე ლერი ინარჩუნებდა უპირატესობას. მაგრამ ამ მომენტში პუშკაშვი წელში შეუვარდა მეტოქეს და ჩოქბენში გადო მანქანა. დარჩენილ 19 წამში ლერიმ მოახერხა «ფეხებში შესვლა», მაგრამ ქულა ვერ დაიტრია. დრო დამთავრდა.

«როგორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ მარცხმა თანაგუნდელზე?»

— ლერის დამარცხებით ერთხანს ყველა გაოგნებული იყო. მერე სხვებზე უფრო ადრე გონს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ივანე იაბიგინი მოვიდა, დაუყვავა, დაამშვიდა, ისიც კი უთხრა, ერთ დამარცხებას ტრავმიად ნუ გადააქცევთ, მომავალი წინა გაქვს, ბარსელონაშიც მოგიხდება ბრძოლა და შენი ძალი იქ დაამტკიცე. სასიამოვნო იყო, რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის გაგონება, მაგრამ იმ წუთებში რა ცეცხლიც ტრიალებდა ლერის გულში, კარგად მაქვს წარმოდგენილი.

საქართველოს ჩემპიონატი და რესპუბლიკური IV ახალგაზრდულ თამაშები

წარბილის „დასავას“ ნუ პირქარებთ!

ისაგ გუგულის პრინციპით

ამ შეჯიბრების მთავარი მოქმედი პირი, რა თქმა უნდა, ხათუნა კორკელია და გენიადი პეტრუხინი იყვნენ. რესპუბლიკურ ჩემპიონატში მათი გამარჯვება დღესაც ნათელი საკითხია. ჯერჯერობით მარტო ტრავმა (ღმერთმა დაგვიფაროს!) და საკავშირო ნაკრების გამოძახება თუ დათმობინებს მათ ამ ტიტულს. ასე რომ, პირველობისთვის ბრძოლა ამ სპორტსმენების პირადი საქმე იყო და იოლადაც მიადრევი მისანს — სამივე სახეობაში გამარჯვების მრავალბიძო ქულათა დიდი სხვაობით გაუსწრეს მეტოქეებს, პეტრუხინმა საქართველოს რეკორდიც დაამყარა ტრამპლინადაც ხტომაში — 42,7 მეტრზე გადახტა, მაგრამ გვაპტიონ ჩვენმა ჩემპიონებმა თუ ორჯერ ორჯერ უფრო მეტად მათი ამ წარმატების ნაცვალად ამჯერად მათსავე კვალში ჩამდგარ სპორტსმენთა გამოსვლაზე გაგამაპრობებ უფრადღებდას, სხვა თუ არაფერი, ხომ შეიძლება დაკვირვებულმა მეტოქეებმა იკითხოს, რაც ჩვენს წყალსათხილამურო სპორტზე მასალებში დაბეჭდილია, სულ კორკელიასა და პეტრუხინზეა ლაპარაკი, ნუთუ სხვა არაფერ გვეზრდებაო? იზრდება!

რეზი უფანეს, აქაურ სპორტსმენთა სერიოზულ წარმატებებზე ფიქრი ფუჭი ოცნება იქნება. როგორ არ გავეხსენოთ ფოთის მავალითი: ქალაქის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს, ჩის კომბინატისა და რესპუბლიკური წყალსათხილამურო სკოლის თანამშრომლობა რომ არა, საქართველოს წყალმობთხილამურეთა საწარმოების ხსენებაც არ იქნება.

ვინმეს რომ ეკითხა, რით დაგასოხმობათ ეს ჩემპიონატი, დაუფიქრებლად ვუპასუხებდით — თბილისელ სპორტსმენთა გამოსვლით. ადრე საქართველოს წყალმობთხილამურეთა ჩემპიონატის პრიზიორების სადაურბობას ეკითხვა არ სჭირდებოდა — კვარცხლები მთლიანად ფოთელებს „საკუთრება“ იყო — წლებადილი ჩემპიონატის საბოლოო ქობილი კი საგანმობლად „აპირდობდა“: ფიგურულ სრიალში საბრინო ადგილები დააკავს თბილისელებმა ეკა ბაბუნიაძე, ნინო თადიშვილი, ზურაბ თედგევაძე, ზაალ ქაჯიამ, ტრამპლინად ხტომაში — რამხ ბაირობაშვილი, ე. ბაბუნიაძე ამ სახეობაში III, სლოლოში კი II ადგილებიც დაიკავა. მათი თანაგუნდელი მიხეილ შენგულია პრიზიორთა შორის ვერ მოხვდა, მაგრამ სლოლოში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმაცივი შეასრულა. თუმცა ამ სახეობაში შეჯიბრების დასრულების შემდეგ მარტო მას რიდი ულოცავდნენ — „წოდება მოემატა“ ფოთელ გიორგი სურგულაძესაც, რომელიც რიგით მესამე სპორტის ოსტატი გახდა კორკელიასა და პეტრუხინის შემდეგ.

ამ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ჩამოყალიბდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც მალე საკავშირო ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადებას შეუდგება. აქ შეგვეძლო წერტილი დავგვევა და საქართველოს წყალმობთხილამურეთა წლებადილი ჩემპიონატზე საუბარი ამით დავგვეთავაზებინა, მაგრამ ვარემთება გვიძლეებს ეს წერილი კითხვის ნიშნით დაგვასრულოთ და აი, რატომ: საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ჩემპიონატის მთელი სიმძიმე ჯერჯერობით ამ ერთ, პროფკავშირთა სპორტსათხილამურების რესპუბლიკურ სკოლის აწვევა მხრებზე, რესპუბლიკის ჩემპიონატიც, ფაქტობრივად, ამ სკოლის პირველობა და ნაკრებიც მისი მოსწავლეებით კომპლექტდება, ასე რომ, ბუნებრივია, უნდა ვეკითხოთ: ვინ და როდის შეეშველება ამ სკოლას და საერთო საქმეს?

თამაგ შენგულია.

კლუბი იზრდებიან ჩემპიონები

თბილისის კალინინის რაიონის № 64-ე სახლმმართველობასთან არსებულ გ. ყვარელაშვილის სახელობის სპორტული მოქიდავეთა კლუბში, რომელიც მშენებლოდგის 14 ნომერში მდებარეობს, უკვე რვა წელია საზოგადოებრივ საწყისეზე მუშაობდ მწვრთნელები — სპორტის ოსტატები ალექსანდრე ჭყონია და ვიტალი სუთიაშვილი. მათი ხელმძღვანელობით აქ გაიზარდა 5 ოსტატობის კანდიდატი და მრავალი თანრიგისანი მოქიდავე. ამ დღებში ქ. მახარაძეში გამართულ IV რესპუბლიკურ ახალგაზრდულ თამაშებში კლუბის აღსაზრდელმა ტ. ვაშაყიძემ 100 კგ წონით კარგორაში საბრინო ადგილი დაიკავა.

ამ თვის დასაწყისში კი ქ. ლუშანეში ჩატარებულ პროფკავშირების კლასიკური სტილით მოქიდავეთა საკავშირო პირველობაზე ქაბუკთა შორის კლუბის ორმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა — № 3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ჭიმშელიშვილმა მძიმე წონაში დაიკავა პირველი ადგილი, ამავე სკოლის ყორფილმა აღსაზრდელმა, ამჟამად ფიზულტურის ტექნიკუმის მოსწავლემ ზ. კეკელიამ კი 87 კგ-ში მესამე საბრინო ადგილი დაიკავა.

მ. სუთიაშვილი, სპორტის ოსტატი.

სიხალეთა ესტაფეტა

საუნა, ახანა სამკურნალო ბაღალბით, სამკურნალო ტანჯარჯიში და მხახუი, კოსმეტიკა — ყველაფერი ეს შედის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მომსახურებაში. კომპლექსი, რომელსაც ჰქვია „ჩანართელობა“, ამჟამში „ელბანის“ საბჭოთა მეურნეობაში გაიხსნა.

მოკლედ

ამ დღებში სამტრედიის რაიონის ფეხბურთის მოედნებზე დამთავრდა პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საბჭოს პირველობა და თაისის ვათამაშება ფეხბურთში.

რომელიც პირველი სპარტაკიადის პროფკავშირთა გამარტა. ვათამაშებამი მონაწილეობდა რაიონის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და წარმობა-დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივების 21 გუნდი.

ურნეობის გუნდმა (გამგეობის თავმჯდომარე ბ. შუბლაძე, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტ რ. ხუჭუა), მეორე ადგილზე გასული წლის ჩემპიონი, გომის მერძვეობა-მეგობარების საბჭოთა მეურნეობის გუნდი, ხოლო მესამეზე — ლანჩხის მეთესლობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

იორაგ ნიორღეივილი.

კალსინკიდან საულაკდა

(დასასრული)

ობდნენ მხოლოდ გვრ-ის სპორტსმენები (V ადგილი), XVI ოლიმპიადამდე ერთ გუნდად დაუშვეს გვრ-ის და გვრ-ის სპორტსმენები (IV ადგილი), XVII და XVIII თამაშებში კი იმავე გაერთიანებულმა გუნდმა უკვე ორგვეჯერ საბრინო ადგილი (III) დაიკავა. XIX თამაშებიდან მოყოლებული გვრ-ს ცალკე გამოკყავს გუნდი. იმ თამაშებიდან მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ მეორე გერმანული სახელმწიფოს დახმარების გარეშე. იგივე წარმატება ამ ქვეყანამ საკუთარი სპორტსმენებით XX თამაშებშიც გაიმყარა.

ლიდერები აშკარად გრძობდნენ

კვალში ჩამდგარი გვრ-ის სპორტსმენთა სუნთქვას ამ „ოლიმპიურ მარათონში“. წინ გასული მეტოქის ზურგს ამერიკელებმა პირველმა მოჭკრეს თვალი. ეს იყო მონრეალში. სსრ კავშირის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გავიდა მეორე ადგილზე — მოაგროვა 638 ქულა და მიიღო 90 მედალი (40+25+25), სსრ კავშირს შესაბამისად 792,5 ქულა და 125 (49+41+35) მედალი ჰქონდა. ამერიკელებმა გერმანელებთან ბრძოლაში 35 ქულა წააგეს, თუმცა მედლებით წინ იყვნენ 94 (34+35+25). როგორც ხედავთ, გვრ-ს უშუალო მეტოქეზე ექვსით მეტი ოქროს მედალი ზედა წილად.

შემდეგ მოვიდა მოსკოვის ოლიმპიადი 1980 წელს და ოთხი წლის შემდეგ — ლოს-ანჯელესის თამაშები. მოსკოვისა და ლოს-ანჯელესის შეჯიბრებებში მონაწილეობა არ მიუღია მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მათ შორის წამყვან სპორტულ სახელმწიფოებს. ამიტომ ჩვენი აქ შევეჩვიეთ შედარებას „სამართლიანობა ადღა მხოლოდ 8 წლის შემდეგ, 1988 წლის 17 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე სეულში ჩატარდა რიგით XXIV თამაშები, რომელიც ოლიმპიური მოძრაობის სიმბოლოდ იქცა. ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 160 ქვეყანა, რაც უპრეცედენტო

შემთხვევა იყო ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში. ოლიმპიზმის იდეალების განმტკიცებაში უდიდესი წვლილი შეიტანა სოკ-ის პრეზიდენტმა სამარანჩამ. მან მთელი თავისი უნარი, ავტორიტეტი, ცოდნა-გამოცდილება და, თუ გნებავთ, დიპლომატიური ხელგონება ჩაქსოვა ოლიმპიური მოძრაობის წინსვლაში (ადრე სამარანჩი ესპანეთის ელჩი იყო სსრ კავშირში). მან მიადგინა იმას, რომ სოკ-ის შემადგენლობაში შემავალი 167 ქვეყნიდან 160-ს სეულის XXIV ოლიმპიადში მიეღო მონაწილეობა. ამ 160 ქვეყანას სამარანჩი პირადად ეწვია, ეს ფაქტი მართლაც უადრესად საყურადღებოა. სეულის თამაშებმა ერთ მუშტად შეკრა მთელი პლანეტა, ერთ მიზანს დაუკავშირა დედამიწის სხვადასხვა კუ-

თხეში მცხოვრები ხალხები. დღეს არ არსებობს მსოფლიოში მეორე ისეთი მოკრაობა, თუ გნებავთ, ძალა, რომელიც ამდენი სახელმწიფოს ინტერესებს გაერთიანებდა.

ახლა რანდენანგ სიტყვა ოლიმპიადის თამაშებში საქართველოს წარმომადგენელთა მიღწევების შესახებაც ვთქვათ. 1952 წელს, ჰელსინკიში გამოდიოდა ჩვენი 14 სპორტსმენი. მათი პირველი ნადავლია 8 მედალი, 3 ოქროსი, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოსი. 1956 წელი, 10 მონაწილე, 2 ოქროსი და 6 ბრინჯაოს მედალი, 1960 — 16; 10 (2+5+3); 1964 — 18; 11 (2+4+5); 1968 — 14; 6 (2+2+2); 1972 — 16; 11 (6+1+4); 1976 — 11; 6 (3+1+2); 1980 — 16; 12 (3+4+5); 1988 — 16; 12 (5+2+5).

ტურნა დაიწყო

საპაოთა კავშირისა და იუგოსლავიის კალათბურთულ ვაჭთა ნაკრები კოლექტივები დაახლოებით ერთდროულად ატარებენ ტურნეს აშშ-ს ქალაქებში. ჩვენს გუნდს პირველ გამოსვლა ჰქონდა ქალაქ ჩამპეიში. აქ იგი შეხვდა სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტის ნაკრებს. დაძაბულ ბრძოლაში გა-

მარჯვება საბოლოო სპორტსმენებმა მოიპოვეს (104:93), რომელთა შორის ყველაზე აქტიურები იყვნენ საბონისი და ვოლოვი, რომლებმაც თავის კოლექტივს 23-23 ქულა შესძინეს. გამარჯვებულთა გუნდში შედგევიანობით მესამე იყო ხომიჩუსი — 17 ქულა.

იუგოსლავიელები ამ დღეს ქა-

ლაქ მაიამში ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდს შეხვდნენ და დაამარცხეს მეტოქე — 91:86.

საპაოთა ნაკრების მწვრთნელები ამჯერად არიან ა. კრაულნი, ი. სელიხოვი და ი. ზეროვი. გუნდის შემადგენლობაში მონაწილეები: საბონისი, გობოროვი, მინაევი, ვოლოვი, ტინონეკო, ტარაკანოვი, მიგლინიკისა, სოკი, მარჩიულინისი, ხომიჩუსი, კურტინაიტისი და ვეტრა.



11 წლის მოცურავის რეკორდი

11 წლის ინგლისელი მოსწავლე თომას გრეგორი მსოფლიოში ყველაზე ნორჩი მოცურავეა, რომელმაც შეძლო ლამანის სრუტის გადალახვა.

თ. გრეგორი სტარტი აიღო საფრანგეთის სანაპიროზე და ინგლისის ქალაქ ლვერს მიადგინა 12 საათის ცურვის შემდეგ. ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა იმავე საცურაო სკოლის მოსწავლეს, სახელად ახალი რეკორდსმენი სწავლობს, მარკუს ჰუპერს, რომელმაც ცხრა წლის წინ გადაცურა ლამანში. მაგრამ იმ დროს იგი 12 წელზე ცოტა მეტისა იყო.

ლამანში ძალზე ძნელი დასაძლევია, მისი ვადაცურვა მოხრდილებსაც უჭირთ, სულ ახლახან კი ტრაგიკულად დამთავრდა ერთ-ერთი ბრაზილიელი მოცურავე ქალის ცდა, იგი ცივმა, სწრაფმა დინებას იმსხვერპლა.

„სპორტლოტო“

გაუზიფონე მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორბეი, 46-ე ტირაეები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 1 (კალათბურთი), 2 (ბიატლონი), 12 (ტანვარეში), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა), 38 (მთამსვლელობა).

„სპორტლოტო 5 86“-დან: 7 (ელსიკური ქილაობა), 8 (ტრუქვე ველორობა), 19 (სათხილამურო რბოლები), 28 (ტყეის სროლა), 30 (ძალოსნობა).

ციხუარქარაწა

ცენზურული ბაღმეშია. 15 ნოემბერი. დილის ტანვარეში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი პოკეში: „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) — 19.25 (2).

საპარტიველო ბაღმეშია. 15 ნოემბერი. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). 14 ნოემბრის მატჩის ვიდეოჩანაწერი — 23.00.

რედაქტორი თ. ბანიჩილაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრა და სპორტული კლუბი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ტყიბულის „მეზასტისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი, წარსულში სსრ კავშირის ქაბუკ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრი, უნივერსიტეტის ფეხბურთის კათედრის მასწავლებელი და ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი

ბორის ვლადიმერის ძე ვაგანაძე
და სამიძიარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ევროპის საკალათბურთო მოედნებზე

დაიწყო ევროპის მოწინავე საკალათბურთო ქვეყნების — იუგოსლავიის, ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატები.

მატჩებიდან ყურადღებას იპყრობს „ისკრა-ოლიმპიას“ გამარჯვება ბელგრადის „პარტიზანთან“ — 105:84 (47:42).

იუგოსლავია

ესპანეთი

ორი ტურის შემდეგ დაწინაურდა ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი სპორტის „იუგოსლავია“, რომელმაც პირველ ტურში საკუთარ მოედანზე დაამარცხა სარაევოს „ბონასა“ — 83:73 (41:32). მეორე ტურის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა ზაგრებში იქაურ „ციბონასა“ და „იუგოსლავიას“ შორის. იგი უკომპრომისო გამოდგა და დამთავრდა „იუგოსლავიას“ გამარჯვებით — 85:82 (43:44). სხვა

მეორე ტურში „რელმა“ მადრიდში სძლია „მაცია დე ჰესასს“ — 98:87. „ბარსელონამ“ დაამარცხა ელბად მოუგო „პულვასს“ — 112:92. „კია სარაგოსას“, რომელსაც სათავეში უდგას იუგოსლავიელი მწვრთნელი რანკო ჟერავიცა, დამარცხდა „ფორუმ ფილათელოსთან“ — 76:85. „პუენტილ ბალალონამ“ სძლია ბილბაოს გუნდს — 91:69.

იტალია

სამი ტურის შემდეგ 6 ქულით ლიდერობს მილანის „ფილიპსი“. ოთხ-ოთხი ქულა მოაგროვეს შარშანდელმა ჩემპიონმა „სკავოლინიმ“, „სნაიდერომ“ და „ნაბოლომ“.


პირველი ტურის მთავარ მოულოდნელობად, რა თქმა უნდა, მიანიჭა „სკავოლინის“ დამარცხება ვენეციას — 68:91. ვენეციელთა გამარჯვებას დიდად შეუწყო ხელი რატო რადიკანოვიჩის (24 ქულა) კარგმა თამაშმა. მილანის „ფილიპსმა“ მეტოქის მოედანზე სძლია „კანტინე რიუნტიესს“ — 75:74. „სნაიდერომ“ შინ ოსკარ შმიტის (48 ქულა) ბრწყინვალე თამაშის

შედეგად დაამარცხა „პონოლა“ — 103:84.

მეორე ტურში „ფილიპსმა“ მილანში მოუგო „პიენცისს“ — 102:92. „სკავოლინიმ“ სძლია „ალნოსს“ — 99:84. „სნაიდერომ“ ვასელით მეტოქეში მოუგო „ვივასს“ — 105:102. შედეგადად იუგოსლავიელი მოსწავლე თავის ოსკარ შმიტმა (37 ქულა).

მესამე ტურში ყურადღების ცენტრში იყო ორი შეხვედრა „ლივირესს“ — „ფილიპსის“ და „სნაიდერომ“ — „სკავოლინი“. ორივე მატჩში წარმატება სტუმრებმა მოიპოვეს: ფილიპსმა გამარჯვება მიანიჭა ლივირესსთან — 72:71, ხოლო „სკავოლინის“ უპირატესობა ცოტა უფრო მეტი იყო — 92:85.

მერაბ კალანდიაძე.



პირტონ სენა — „ბინესის“ რეკორდების ნიშნები

რომ ბევრი პილოტი სწორედ იქ ხელბოდა კატასტროფაში, სდაც შარშან ნიჭიერ მენეჯლი დიმიტრია. აირტონ სენა სტარტიდანვე დაწინაურდა. აიენ პროსტი კი არ გაუშვართლა. იგი წამით შეყოვნდა და მეორე პოზიცია სწრაფად დაიკავა გერპარდ ბერგერმა. მას მიუძევა ტიერი ბუტრანცი. მათ დისტანციის ნახევარიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ბოლოების „პროფესორმა“ ოსტატურად ჩა-

მოიტოვა ყველა მეტოქე და მეორე ადგილი დაიბრუნა. თუმცა პროსტი პირველობასაც ცდილობდა. დაეწეა და გაუსწრო თავის თანაგუნდელს. ტრასის სწორ მონაკვეთში ისინი ერთმანეთის გვერდით მიდიოდნენ. აირტონ სენას პირველი ადგილის დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ მან შეძლო მომენტალური აღელვების დაძლევა, სიჩქარეს უშატა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. აიენ პროსტი მეორე იყო.

აირტონ სენამ მერვე „გრან პრი“ მოიპოვა წლეულებდ სეზონში და მასთან ერთად, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ვადადებდნენ. სხვათა შორის, ეს შედეგები „ბინესის“ რეკორდების წიგნში აღმოჩნდა. მართლაც, საუკეთესო სე-

ზონია წელს ბრაზილიელი სპორტსმენისათვის.

საინტერესო იყო მესამე ადგილისთვის ბრძოლა ტიერი ბუტრანსა და გერპარდ ბერგერს შორის. ბელგიელი პილოტი დიდხანს მეოთხე იყო. მას კვალში ედგა თანაგუნდელი, იტალიელი სანდრო ნანინი. ტრასის ერთ-ერთი მოსახვევის გავლისას ბერგერმა შეცდომა დაუშვა და ბუტრანი წინ გავიდა. ახლა დამწვევის როლში აღმოჩნდა ბერგერი. ავსტრიელმა პილოტმა სიჩქარეს უშატა, წამოეწია ბუტრანს და რამდენჯერმე სცადა გასწრება, მაგრამ ვერაფერს გახდა და მეოთხე ადგილს დასაგრდა.

ამრიგად, ეტაპის საბოლოო შედეგი ასეთია: 1. აირტონ სენა (ბრაზილია) — 9 ქულა; 2. აიენ პროსტი (საფრანგეთი) — 6 (ორივე — „მაკლარენ ჰონდა“); 3. ტიერი ბუტრანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდ-კორუორტი“) — 4; 4. გერპარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“) — 3; 5. ალესანდრო ნანინი (იტალია, „ბენეტონ ფორდ-კორუორტი“) — 2; 6. რიკარდო პატრუჯე (იტალია, „ნუილიამს-პარი“) — 1 ქულა.

თხუთმეტი ეტაპის შემდეგ პირდაპირად მდგომარეობა ასეთია: 1. აირტონ სენა — 87 ქულა; 2. აიენ პროსტი — 84 3. გერპარდ ბერგერი — 41; 4. ტიერი ბუტრანი — 29; 5. მიკელ ალბორეტო — 24; 6. ნელსონ პიკე — 16; 7. დერეკ უორვიცი და სანდრო ნანინი — 15-15 ქულა; 9. ივან კაპელი — 14; 10. ნიჭიერ მენეჯლი — 12; 11-14. ჟონთან პალმერი, მურბილი გუვლემინი, ელი ჩიკერი, რიკარდო პატრუჯე — 5-5 ქულა; 15. ანდრეა დე ჩეზარისი — 3; 16-17. სატორე ნაკაბიმა და პიერ-ლუიჯი მარტინი — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ადგილები ასე განაწილდა: 1. „მაკლარენი“ — 184; 2. „ფერარი“ — 65; 3. „ბენეტონი“ — 44; 4. „ილოუნი“ — 20; 5. „მარჩი“ — 19; 6-7. „ლოტუსი“ და „უილიამსი“ — 17-17 ქულა; 8. „ტიარელი“ — 5; 9. „რიალი“ — 3; 10. „მინარდი“ — 1 ქულა.

ჩემპიონატის ბოლო, მეექვსე ეტაპი გაიმართა 13 ნოემბერს, ავსტრალიაში, (მასალას უახლოეს ნომერში შემოთავაზებთ).

დაბოლოს იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება ქულები „ფორმულა 1“-ის წესების თანახმად. როგორც იცით, ჩასათვლედი ქულები ეძლევა პირველ ექვსეულს (9, 6, 4, 3, 2 და 1). ჩემპიონატის მსვლელობისას ჯამდება 11 საუკეთესო შედეგი, დარჩენილ ეტაპებზე გამარჯვებისათვის კი ავტომობილს ერიცხება 3-3 ქულა.

ვიწინდან წლეულებდ სეზონში პროსტმა მხოლოდ პირველი ან მეორე ადგილი დაიკავა, ამიტომ, მას შემდეგ, რაც პორტუგალიაში ამოწურა ჩასათვლედი ეტაპთა რაოდენობა, დარჩენილი ეტაპები მას აუცილებლად უნდა მიეგო.

უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდა სენას, ვინაიდან 7 პირველი ადგილის 2-2 მეორის გარდა, მას აქტივში ჰქონდა 1 მეექვსე და 1 მეოთხე. მისთვის საკმარისი იყო დარჩენილი ორი ეტაპიდან მხოლოდ ერთის მოგება და ბრაზილიელი სპორტსმენი ვადადებდნენ არე მსოფლიო ჩემპიონი ზღვებდნენ.

ამრიგად, „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილთა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში ჩაიწერა ახალი სახელი, რიგით 22-ე, 28 წლის ბრაზილიელი — აირტონ სენა და სილვა.

დავით ჩაბინიძე.

ჩემპიონატის ბოლო, მეექვსე ეტაპი გაიმართა 13 ნოემბერს, ავსტრალიაში, (მასალას უახლოეს ნომერში შემოთავაზებთ).

დაბოლოს იმის შესახებ, თუ როგორ ნაწილდება ქულები „ფორმულა 1“-ის წესების თანახმად. როგორც იცით, ჩასათვლედი ქულები ეძლევა პირველ ექვსეულს (9, 6, 4, 3, 2 და 1). ჩემპიონატის მსვლელობისას ჯამდება 11 საუკეთესო შედეგი, დარჩენილ ეტაპებზე გამარჯვებისათვის კი ავტომობილს ერიცხება 3-3 ქულა.

ვიწინდან წლეულებდ სეზონში პროსტმა მხოლოდ პირველი ან მეორე ადგილი დაიკავა, ამიტომ, მას შემდეგ, რაც პორტუგალიაში ამოწურა ჩასათვლედი ეტაპთა რაოდენობა, დარჩენილი ეტაპები მას აუცილებლად უნდა მიეგო.

უკეთესი შესაძლებლობები ჰქონდა სენას, ვინაიდან 7 პირველი ადგილის 2-2 მეორის გარდა, მას აქტივში ჰქონდა 1 მეექვსე და 1 მეოთხე. მისთვის საკმარისი იყო დარჩენილი ორი ეტაპიდან მხოლოდ ერთის მოგება და ბრაზილიელი სპორტსმენი ვადადებდნენ არე მსოფლიო ჩემპიონი ზღვებდნენ.

ამრიგად, „ფორმულა 1“ კლასის ავტომობილთა მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში ჩაიწერა ახალი სახელი, რიგით 22-ე, 28 წლის ბრაზილიელი — აირტონ სენა და სილვა.

დავით ჩაბინიძე.

ჩაბინიძე მისამართი:
წერილებისთვის — 250096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“.

ჩაბინიძე მისამართი:
წერილების განყოფილება — 25.97.55, სამდივნო — 25.97.52, ინფორმაციის განყოფილება — 25.97.53, „მერანი“ — 25.97.26, „მარტვი“ — 25.97.27.

ჩაბინიძე მისამართი:
250096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტის — თბილისი, „ლელო“.

საქართველოს კ. ც. ც. -ის გამოცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სტამბა. 250096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპარტამენტის წინა ბაზაზეთი კორპუსში: ზომარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უც 05601